# გურჯაანში, მაჟორიტაროპის ექვსივე კანდიდატს გამარჯვების იმედი აქვს

ნატალიან ცისკარაშვილი

**გურჯაანში მცხოვრები 56000-ზე მეტი ამომრჩეველი მომავალი კვირის არჩევნებში 6 კანდიდატისგან ერთი მაჟორიტარი დეპუტატი უნდა აირჩიოს, რომელმაც მათი ხმა ქვეყნის პარლამენტში უნდა წარადგინოს.**



გურჯაანის დეპუტატობის მაჟორიტარობის კანდიდატები: ,,ახალი მემარჯვენეები"-გიორგი იმერლიშვილი, ,,ქართული ოცნება"-მანანა ბერიკაშვილი, ,,თავისუფალი საქართველო" - დავით ჩიტაშვილი, ,,ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" - ნინო მურაკაშვილი, ,,ლეიბორისტული პარტია"-ლენა მოდებაძე, ,,ნაციონალური მოძრაობა" - გიორგი ღვინიაშვილი.

მაჟორიტარობის მეშვიდე კანდიდატმა, ,,ქართული დასის" წარმომადგენელმა ვალერიან ვარდოსანიძემ კანდიდატურა არჩევნებამდე 10 დღით ადრე მოხსნა, მიზეზი უცნობია.

მაჟორიტარობის მსურველი კანდიდატების პროგრამებიც და საარჩევნო კამპანიაც სხვადასხვაგვარია. კანდიადტებს მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ: წარმოშობით ყველა გურჯაანელია.

,,ახალი მემარჯვენეების" გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი იმერლიშვილი კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია. პოლიტიკური ცხოვრებაში 2002 წლიდან ჩაერთო. იმ წელსვე მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ არჩევნებში. იმერლიშვილის განცხადებით, წლევანდელ არჩევნებში მისი კანდიდატურა შეირჩა იმიტომ, რომ სურს, გურჯაანს, როგორც ქალაქს, დაუბრუნოს გარეგნული და ინტელექტუალური სახე:

**,,პოლიტიკასთან პირველი გადაკვეთა 2002 წელს მოხდა, ვიყავი წინანდლის სამთავრობო რეზიდენციის დირექტორი. მაშინ ადგილობრივ არჩევნებშიც მივიღე მონაწილეობა როგორც გურჯაანელმა, თუმცა სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ სხვაზე შეაჩერა არჩევანი".**

ჩვენს კითხვაზე რატომ გადაწყვიტა წლევანდელ არჩევნებში მონაწილეობა და აქვს თუ არა ხალხის მხარდაჭერის იმედი, გვიპასუხა, რომ იგი ვალდებულია მიიღოს არჩევნბში მონაწილეობა, როგორც ძირძველმა გურჯაანელმა:

**,,ძირძველი გურჯაანელი ვარ და თავს ვალდებულად ვთვლი, მივიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ყველა პრობლემა მოწესრიგდება. საზოგადოების მხარდაჭერის იმედი მაქვს, ყველა სოფელში დავდივარ, ვხვდები ხალხს, ვისმენ მათ პრობლემებს და ჩემთვის რთული არ იქნება მათი მოგვარება. რაც შეეხება ჩვენს საარჩევნო პროგრამას, ვრცელია, მასში ასახულია ყველა პრობლემა რაც ხალხს აწუხებს, ჩემთვის კარგადაა ნაცნობი ეს პრობლემები. ვპირდები მოსახლეობას, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში მათ ხმას და პრობლემებს მივიტან პარლამენტში".**

ქართული ოცნების გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატს, მანანა ბერიკაშვილს, პოლიტიკური წარსული არ აქვს. იგი რეჟისორია და პედაგოგიური მოღვაწეობის 27 წლიანი სტაჟი აქვს. თუმცა მისივე თქმით, მას გააჩნია ნდობის მანდატი კოალიციის ლიდერისგან და რაც მთავარია, გამარჯვების იმედი:

**,,ძალიან დიდი ნდობის მანდატი მაქვს ბატონი ბიძინასგან. დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობთ ერთმანეთს და რაც პოლიტიკური ასპარეზზე გამოვიდა, ერთად ვმუშაობთ. გურჯაანი გივი ბერიკაშვილის სამშობლოა და ესეც ძალიან დიდი ფაქტორია. ბევრი ურთიერთსიკეთე არსებობს გურჯაანსა და გივის შორის. რაც შეეხება ჩემს მოღვაწეობას, რეჟისორი ვარ და მაქვს 27 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, რაც ერთ-ერთი დადებითი ფაქტორია. გადაწყვეტილებაზე, რომელიც მივიღე, გარკვეული დრო დამჭირდა, მაგრამ ხალხის, ამომრჩევლის იმედი მაქვს. მე ვარ ის ჯარისკაცი, რომელმაც პირნათლად უნდა შევასრულო დაკისრებული მოვალეობა. თითქმის 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ მოსახლეობა მხარს დამიჭერს. ადამიანებს ვუმარტავთ რისი გაკეთება შეგვიძლია მათთვის. დიდი ადამიანური რესურსი გვყავს".**

როგორც მანანა ბერიკაშვილი აცხადებს, სასოფლო სამეურნეო დარგების განვითარება კახეთისთვის უმთავრესია, რადგან სოფელი ქვეყნის არტერიაა:

**,,გლეხის მარჯვენამ და კულტურამ მოიყვანა დღემდე საქართველო, ამიტომ სოფელი არის არტერია, რომელიც მოიშალა. ბევრი მიწაა დაუმუშავებელი, ამის პატრონი რატომ უნდა მივირთმევდეთ თურქულ პლასმასის პომიდორს? გლეხს თუ ყურძენი ვენხში დაულპა, რას ნიშნავს თვითდასაქმება, არანაირ შედეგზე არ არის ქართველი გლეხი ორიენტირებული. მან, მოსავალი უნდა მოიყვანოს და ჩააბაროს, ამის შემდეგ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის რეალიზებაზე, ნუთუ ეს ასეთი რთულია?".**

,,თავისუფალი საქართველოს" გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დავით ჩიტაშვილი, 25 წელი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ძირითადად საგამოძიებო სფეროში. 2009 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ-ადვოკატია. ამავე წელს ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქვეყნისა და ხალხისათვის", ხოლო 2012 წლის აპრილიდან პარტია ,,თავისუფალ საქართველოში" გაწევრიანდა:

**,,პარტიის ძირითადი პრიორიტეტია რუსეთის ბაზრის დაბრუნება, რადგან აქ უნდა გაიყიდოს ჩვენი ხილი, ღვინო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება პატიმრების ამნისტია. სიმართლე გითხრათ ძირითად კონკურენტად მხოლოდ მმართველის პარტიას მივიჩნევ. ჩემს ამომრჩეველს კი მინდა ვუთხრა, ირწმუნონ ჩემი სიტყვებისა, რადგან თუ პარლამენტის ტრიბუნასთან აღმოვჩნდი ჩემი ქალაქის პრობლემებს ადვილად მოვაგვარებთ".**

გამარჯვების იმედი აქვს ,,ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ნინო მურაკაშვილსაც. მისი განცხადებით, ამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წლები ემზადებოდა. მურაკაშვილი პარტიის დაფუძნებიდან მისი წევრია. მანამდე ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა, 2002 წელს დააფუძნა გაზეთი ,,იმედი" და იყო 50%-იანი წილის მფლობელი, შემდეგ წლებში კი ,,ხალხის გაზეთის" რედაქტორი:

**,,პირველ რიგში, უნდა დაწესდეს სამართლიანი ტარიფები, გამოვისყიდოთ სასიცოცხლო ობიექტები, მილიარდი ლარია საჭირო თელასის 75%-ის გამოსასყიდად, რომელსაც რუსეთი ფლობს. უნდა შეიქმნას მცირე საწარმოები დასაქმებისთვის, ქართულმა პროდუქციამ უნდა აითვისოს ქართული ბაზარი და შემდეგ ვიფიქროთ, როგორ გავიტანოთ ექსპორტზე. არ არსებობს სამაცივრე მეურნეობები. მნიშვნელოვანია აგრო ბანკის შექმნა, სადაც გლეხები და ფერმერები დაბალპროცენტიან სესხებს აიღებენ თუ არადა სოფლის მეურნეობას გავითარება არ უწერია. საჭიროა პროდუქციის დაზღვევა.**

**კარგად მიცნობს საზოგადოება და იცის, რომ წლების მანძილზე ვიბრძვი მათთვის. სახელისუფლებო რესურსი დიდია, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი მაქვს. ყველა კანდიდატისგან განსხვავებით, ვუწევდი ოპონირებას ხელისუფლებას ტელეეთერში თუ საკრებულოს სხდომებზე".**

მურაკაშვილისვე თქმით, გურჯაანის თითქმის ყველა სოფელში შეხვდა მოსახლეობას და მათი პრობლემების გარშემო ესაუბრა.

,,ლეიბორისტული პარტიის" გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ლენა მოდებაძე პოლიტიაში ზვიად გამსახურდიას ,,ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის'' დროს მოვიდა. ,,ლეიბორისტული პარტიის" წევრი კი წელს გახდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა საჯარო დაწესებულებებში. მისი თქმით, მისი პროგრამის მთავარი არსია სოფლის მეურნეობის აღორძინება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. მისივე თქმით, მოსახლეობას ფინანსური პრობლემების გამო ხშირად ვერ ხვდება და ამ დრომდე მხოლოდ რამდენიმე სოფელში აქვს შეხვედრა ჩატარებული:

**,,სოფლის მეურნეობის აღორძინება, ხელმისაწვდომი ტექნიკა, საწვავზე დაბალი ფასები, სარწყავი სისტემების მოწესრიგება, გლეხისთვის ადგილის მორწყვა გახდება უფასო და მოსავლის რეალიზებაში დავეხმარებით. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში ჯანდაცვა და სწავლა-განათლება იქნება უფასო. რეგიონში ერთი უფასო საავადმყოფო უნდა იყოს, სადაც გაჭირვებულ მოქალაქეებს შეეძლებათ მისვლა და სამედიცინო მომსახურების მიღება. ფინანსები კი არა ამ დრომდე ოფისიც კი არ გვაქვს და შეხვედრებს პარტიის შიდა საქმეებისთვის გურჯაანში, სკვერში ვმართავ".**

მოდებაძის განცხადებით, დღესდღეობით საღი წინასაარჩევნო კონკურენცია არ არსებობს. მას ოპონენტად მხოლოდ მმართველი პარტია და ,,ქართული ოცნება" მიაჩნია ფინანსური განსხვავებულობის გამო:

**,,წინასაარჩევნო კონკურენცია არაჯანსაღია. პატიოსანი შრომით ნაშოვი ფული მაქვს და ჩემი კონკურენტი უნდა იყოს ჩემსავით პატიოსანი, რაც დღესდღეობით არ არის. მმართველი პარტიაა და დიდი რესურსი აქვს ფულის ასევე ,,ქართულ ოცნებასაც'' ეს ორი პარტიაა ძირითადად ჩვენს პარტიას კი არანაირი რესურსი არ აქვს. სხვა არცერთი პარტია მეგულება ისეთი პატიოსანი, როგორიც ლეიბორისტული პარტიაა და სწორედ ამიტომ გავხდი ამ პარტიის წევრიც".**



მმართველი პარტიის გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ღვინიაშვილი აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებს. იგი 1996 წლიდან 2008 წლამდე მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობზე, 2008 წელს იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და ქალაქ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი. 2008 წლიდან 2012 წლის 24 აგვისტომდე სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი კახეთის რეგიონში:

**,,აქტიურად ვხვდები მოსახლეობას, ვისმენ მათ პრობლემებს და გამარჯვების შემთხვევაში პრობლემების მოგვარებას ვპირდები. ვფიქრობ, ხალხისთვის მთავარია პარლამენტში ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდეთ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი საკითხების დაყენება.**

**ქვეყანა ჩავიბარეთ გაღატაკებულ და ჩამონგრეულ მდგომარეობაში. იქიდან მოყოლებული ყველა ხედავს, რამდენი რამ აშენდა და გაკეთდა. გასაკეთებელი კიდევ ბევრია და ამ კურსს არ გადავუხვევთ.**

**საზოგადოებას აინტერესებს ჩვენი პროგრამა, თუ როგორ გავაგრძელებთ შემდგომში მუშაობას და რას ვაპირებთ გამარჯვების შემდეგ. პარტია ორიენტირებულია შეამციროს დაუსაქმებელთა რიცხვი მინიმუმამდე რაზედაც ქმედითი ნაბიკები უნდა გადაიდგა დასაქმების სამინისტროს შექმნით, რომელიც აქტიურად მუშაობს ამ კუთხით. ჩვენი დევიზია - მეტი სარგებელი ხალხს. "**

იმის გამო, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გურჯაანის მოსახლეობასთან თითქმის ყველა კანდიადტი უწყვეტ რეჟიმში წარმართავდა, შეიძლება ითქვას, რომ რაიონის მაჟორიტარობის მსურველ კანდიდატებს ამომრჩეველი კარგად იცნობს. ჩვენს მიერ გამოკითხულ მოქალაქეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მაჟორიტარი დეპუტატი უნდა იყოს საზოგადოების პრობლემებზე ორიენტირებული".

33 წლის ნუცა გიგაშვილისთვის მთავარია, რომ დეპუტატს სუფთა წარსული ქონდეს და მოქალაქეთა დასახმარებლად მოტივირებული იყოს:

**,,ჩემი ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი უნდა იყოს ცნობადი სახე და ვფლობდე მის შესახებ ინფორმაციას. მაქვს არჩევანი გაკეთებული, თუმცა თავს შევიკავებ დასახელებისგან. ვიცნობ მის საარჩევნო პროგრამას, მეტნაკლებად მაქვს ინფორმაცია რა გამოცდილება აქვს, აინტერესებს მოსახლეობის პრობლემები. გურჯაანის მაჟორიტარობის მსურველ მხოლოდ 3 კანდიდატს ვიცნობ, თქვენგან გავიგე, რომ შვიდი ყოფილა".**

ამომრჩეველ მანანა მირველაშვილისთვის მთავარია, დეპუტატმა გაამართლოს ხალხის იმედები და არ იქცეს კაბინეტურ მოხელედ:

**,,მთავარია, დეპუტატი გულისხმიერი იყოს და მოსმენა შეეძლოს. მან უნდა შეძლოს დაპირებების შესრულება და არჩევნების შემდეგ გააგრძელოს ხალხთან შეხვედრები. არჩევანის გაკეთება მიჭირს, რადგან პარტიების საარჩევნო პროგრამებს ვიცნობ და ერთმანეთზე უკეთესია. ვინც მეტ შეხვედრას ატარებს, მეტ საქმეს აკეთებს და შესრულებადია მისი პროგრამა, ალბათ მას მივცემ ხმას"**

---

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

UNDEF The United Nations Democracy Fund